



4290/1-6/21
13-05-2021

საქართველოს შინაგან საქმეთა
მინისტრს ბატონ ვახტანგ გომელაურს

ბატონო ვახტანგ,

როგორც მოგეხსენებათ, სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად, შემოწმებისთვის თავის არიდება იწვევს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების 6 თვით შეჩერებას;

ამასთან, მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ჩადენისას, სამართალდამრღვევს მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით საქმის განმხილველი ორგანოსთვის მიმართვის უფლება წარმოეშობა ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არაუადრეს 3 თვისა. ამ ვადის გასვლის შემდეგ საქმის განმხილველი ორგანოსთვის მიმართვის შემთხვევაში, აღნიშნულ პირს მართვის უფლება აღუდგება, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით გათვალისწინებულ ვადაში მომაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია:

2017 წლიდან დღემდე, რამდენ პირს შეუჩერდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება 6 თვით, სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში, ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდების გამო?

ასევე, 2017 წლიდან დღემდე, რამდენი მძღოლი დაჯარიმდა 700 ლარის ოდენობით და გაეზარდა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების შეჩერების ვადა 1 წლით?

გარდა ამისა, გთხოვთ, მოგაწოდოთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ პირთა რაოდენობისა და მათ მიერ გადახდილი ჯარიმების ოდენობის შესახებ, რომლებმაც ზემოაღნიშნული სამართალდამრღვევის ჩადენისა და ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან არაუადრეს 3

თვისა, მართვის უფლების ვადამდე აღდგენის მიზნით, მიმართეს საქმის განმხილველი ორგანოს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემდგომ, აღიდგინეს მართვის უფლება.

პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე
ლევან იოსელიანი





საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA



MIA 8 21 01380666



01/06/2021

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარის მოადგილეს
ბატონ ლევან იოსელიანს

ბატონო ლევან,

2021 წლის №4290/1-6/21 წერილის პასუხად, დანართის სახით გიგზავნით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში არსებული აღრიცხვიანობის ფარგლებში დათვლილ ინფორმაციას, 2017 წლის ივლისი-დეკემბერის, 2018-2020 წლებისა და 2021 წლის იანვარი-აპრილის თვეებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტით, 6 თვის ვადით და მე-2 ნაწილის საფუძველზე 1 წლამდე (გაზრდილი) შეჩერებული მართვის უფლების საერთო რაოდენობის, მართვისუფლებაშეჩერებული პირების დაუნიკალურებული რაოდენობისა და სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, ჯარიმის გადახდის შესაბამისად აღდგენილი მართვის უფლების რაოდენობების შესახებ.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,



ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის
მოადგილე თათია ცეცხლაძე

A handwritten signature in blue ink, appearing to read 'T. Tsereteli', with a stylized flourish at the end.

წელი	ასკ, მუხლი - 116 ნაწილი 1 -ა (მართვის უფლების შეჩერება 6 თვით)		ასკ, მუხლი - 116 ნაწილი 2 (დაჯარიმება 700 ლარი, მართვის უფლების შეჩერების ვადის 1 წლით გაზრდა)	
	მართვის უფლების შეჩერება (საერთო რაოდენობა)	მართვის უფლებაშეჩერებული პირი (უნიკალური)	მართვის უფლების შეჩერების ვადის გაზრდა (საერთო რაოდენობა)	მართვის უფლებაშეჩერებული პირი (უნიკალური)
2017 (ივლისი-დეკემბერი)	8926	8899	308	305
2018	17531	17332	622	617
2019	20627	20345	762	760
2020	14409	14313	535	530
2021 (იანვარი-აპრილი)	4365	4348	142	142

წელი	მართვის უფლების აღდგენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის გადაწყვეტილების საფუძველზე, 1000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდის შემთხვევაში.	
	116 ნაწილი პირველი-ა	116 ნაწილი 2
2017 (ივლისი-დეკემბერი)	242	6
2018	623	31
2019	725	21
2020	644	22
2021 (იანვარი-აპრილი)	72	0

შენიშვნა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ. საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს

მონაცემები დამუშავებულია 31-05-2021 წ
მდგომარეობით